



მაგრა



საქონელ-კვირალ ლიტერატურული და მსატვრობითი გაზეთი.

13 აპრილს

გ ა მ თ ი ც ე მ ა

№ 15

კ ვ ი რ ა მ ბ ი თ

1886 წელს.

ფასი „თეატრი“-ს წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა გადით ხელის მოწერა არ მაღლება. რადგან სომერი „თეატრი“-ს დის სამი შეური. ხელის მოწერა მიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქტორი და ქუთაისში მშ. ჭილაძების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: თბილის „თეატრი“. მანეთი და არხევს ფოთლებს, ხავერდის მგანესა, ჭილაძებს მარდი მერტალი: ზამთარი განზე გადგაო; იხარე სოფელ-ქვეყანავ, იხარე: „შრისტე ალსდგაო!“



აღდგომა

მზემ ოქროს ფერი სხივები გაჰტინა მინდორ-
ველადა,
მოჰკაზმა, ააყვაეილა ბუნება მრავალ-ფერადა;
ტოროლა მღერის ხმა-ტყბილად: აწ გაზაფხული დად-
გაო,
იხარე ყველა არსებავ, იხარე: „შრისტე ალსდგაო.“

დილის ნიავმა კეკლუცმა ტყბილად, საამოდ
მოჰბერა
და ბუჩქის ძირში გაშლილი ყვავილი აელფერა;
მღერს იადონი: აწ დათბა და ხეში წყალი ჩადგაო;
იხარე სოფელ-ქვეყანავ, იხარე: „შრისტე ალსდგაო!“

მოესვარი მინდერად გავიდა, ახსენა წმინდა
ღვთაება
და მისი გული საბრალო სიამის ჯაჭვით დაება;
მსმის: გაჰკრება შიშილი, რაც რომ გარშემო გად-
გაო.
იძახის ყველა არსება, იძახის: „შრისტე ალსდგაო!“

კურდლლის ბაჭია გასულა მინდერად და სკომუც-
ნის მწვანესა

უქრის ნიავი და არხევს ფოთლებს, ხავერდის მგანესა,
ჭილაძებს მარდი მერტალი: ზამთარი განზე გადგაო;
იხარე სოფელ-ქვეყანავ, იხარე: „შრისტე ალსდგაო!“

მალლა ცაზედაც ვარსკლავნი გუნდ-გუნდად იკ-
რიბებიან,
ბადმოსტერიან ქვეყანას და რაღაც ვნებით სტკებიან,
თითქოს რომ უხმოდ ამბობენ: დრო სანეტარო დას-
დგაო;
იხარე ცა და ქვეყანა, იხარე: „შრისტე ალსდგაო!“

დახველი.

ჩვენ კუგლიცისტებთა მიმართ.

საკვირველია, რა გვარი მიმართულება მიიღო
ამ უკანასკნელს დროს ჩვენმა მეღილურმა ლიტერა-
ტურაშ ბ. ი. ხონელის თაოსნობით, რომელიც, ჩვენ-
და სამწუხაროდ, გამოუდგა რაღაც უმგვან, უშნო და
უმნიშნელო ინტრიგებს და ამით გადასტყორუნა ახა-
რი განხეთქილებისა მოპირდაპირეთ ბანაში. მართა-
ლია, ყოველთვის და ყოველ დროს ჰქონდა ადგილი
ჩვენ ლიტერატურაში ამ გვარ მიმართულებას, მაგ-

რამ ეხლა მან მიაღწია უმაღლეს ფეხსაღგურამდე. მს მით უფრო საკუირველია და მასთან სამწუხაროც, რომა «კნიაზმა ილიამ», უმტყუნა თავისი გაზეთის პირველი ნომრის წინა სტატიის შინაარს, რომელიც ზეციურ, დამამშვიდებელ მანანად მოვცევლინა და, ისრე ქუჩილის მზგავსი სიტყვებით, გვპირდებოდა პირადობის განძევას მისის ორლანოდამ. ხოლო უნდა მოგახსენოთ გამოტეხილი, ჩენ ამ გაზეთის გამოსვლამდინაც ბევრი იმედი არ გვქონა მაზე და გამოსვლის შემდევ ხომ სულ გაცრუედა ეს იმედებიც.— ჩენ როდესაც შევიტყვეთ „შურჩალის ივერიის“, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ერთ იოტისოდნადაც ვერ აკმაყოფილებდა საზოგადოების მოთხოვნილებას, ყოველ დღიურ გაზეთად გარდაკეთება, „კნიაზ ილიას“ რედაქტორის მითობით, თ. ნ. ბარათაშვილის სიტყვები მოგვავონდა:

«სასაცილოა ბერი კაცი, რომ ყმაშვილობდეს და საბრალოა, რომ ყმაშვილი ბერიკაცობდეს!»

შველას, რასაკუირველია, მოგეხსენება, რომა გაზეთი «ივერია» აღმოცენდა «დროების» ნატამალზე და ამ შეხედულებას სრულებით ამართლებს იგი მით, რომ აზრის ნატამალსაც არ გვიჩვენებს. მის მაგიერ, რომ გაზეთს მოეცემა საზოგადო სიმპატია, ის გამოუდგა, რაღაც წერიმალ ინტრიგებს და მთელი გვერდები უნდება უზრუნველყოფისას, უშინაარსო პოლემიკას. დიად! მხლა ჩენ კავალერი ლიტერატორებთ შორის ატებილა bellum omnium contra omnes,— ხაօც და არენა ნევალები. და თუ ეს მიმართულება მალე არ მოისპო, თამამად შემიძლიან მოგახსენოთ, ამ მოკლე ხანში ირა აღარ წაიკითხავს ჩენს გაზეთებს, ვინაიდგან მათში არ მოიპოება ტკინის მასალა და ბ. ი. ხონელმა თავის ბიოლრაფია ვგონებ გაათავა.

რით დაიმსახურა ბ. ი. ხონელმა და მისმა მოპირდაპირებმა ისეთი მსოფლიო გმირების სახელი და მნიშვნელობა, რომ გაუწყნარებლივ ყიუინებენ ბატებსაეთ თავიანთ პირადობაზე და ხდიან ამ პირადობას საზოგადო საინტერესო საგნაც. დრო არის ვგონებ, რომ არ დაუგვიანონ ბ. ბ. რედაქტორებმა თავიანთი veto და მით მოსპონ ეს ულაზათო სიტყვების კამათლობა, რომელიც თავს აბეჭრებს და ზიზღს ჰერის მკითხველ საზოგადოებას. სამწუხარო ის არის, რომ ბ. ბ. დაეთ სოსლანი და სილოვანი აპყვენ ბ. ი. ხონელს, რომელიც ღიღრატური საქაჩილით, ვაი ვაგლახით და «ჭაპან წყვეტით» (ეს თვით მისი საყვარელი სიტყვა), სწურავს თავის ტვინიდამ ნახევ-

რად დაძველებულს აზრებს და უფრო, ქნერჩაზე მის ლანძღვა-თრევე, რომლითაც ცხადად გვიმტკიცებს მის კინტოკრატულ მიმართულებას და რომელმაც რუსთველის პრინციპი ესრედ გარდააკეთა: «მოკლე სიტყვა გრძელად ითქის, ხონელია ამით კარგია!.. მრთ სამწუხარო მოვლენად ჩვენის ლიტერატურისათვის გამხდარა ის გარემოება, რომ ყოველი გზა დაბრუელი და წყალ-წალებული პირი, რომელთაც მოუბოჭიათ, ვითომ მათი აზრით, საზოგადო იჯეების წვერები, ებუდებიან რედაქციას, როგორც ქარიშხლით გამომფრთხალი მხეცი ეფარება სოროს და ლიტერატორობენ, ნამდევილად კი გარდა ბაშიბუზუებისა არაფერს არ წარმოგვიღებენ.—

ჩვენი აზრი იყო, ამ წერილში გამოგვეხატა საზოგადო ღრუვინვის გამოხმობა და რამოდენადაც ავასრულეთ ეს საჯოს მკითხველმა საზოგადოებამ. არ გვეთქა რამე არ მოხერხდებოდა, ენიაიდგან ძრიელ სარგებლობენ ჩვენის მოთმინებით ჩვენივე სუტლიტერატორები და პუბლიკისტები, რომლებიც, მის მაგიერ რომ შეხეონ საზოგადო ინტერესებს აჭრელებენ ჩვენი საბრალო ირა გაზეთას გვერდებს საზიზლარი ლანძღვა-გინებით. შეიძლება იმათ და უკურობ. ი. ხონელი იქამდის ჰერნდესთ გაფუჭებული ესტეტიკური გრძნობა, რომ ამას ვერ გრძნობდენ, მაშინ საჭიროა „კნიაზ ილია“ დაწყნარებდეს ამ გამომხტარ ბაციუკუს, რადგანაც მას მაინც უნდა ესმოდეს ესტეტიკური გრძნობა და ლიტერატურული წესები. სირცეცლია, მე და ჩემმა ლმერთმა, რომ ორი გაზეთი ვერ მოთავსებულან ჩენში; მით უფრო სირცეცლია, რომ ამ გაზეთების ლიტერატურული მოლევები განსხვავებულია. და თუ ჩვენი პუბლიკისტები არ მოსპობენ თავიანთ ყიყინს, არ იქმნებოდა ურიგო ჩაეწერონ კინტოკრატებში და იმათ მიმიუყონ თავიანთი გესლიანი ენის ნაწარმოები და ჩვენ კი მოგვისვენონ.

მს წერილი გახლავთ ჩემგან პირველი და უკანასკნელი, მაგრამ ამითი არ წარმოიღიონ ბ. ი. ხონელმა და მისმა მომხრეებმა, რომ მე ვაღვიარებდე ჩემს უძლეურებას. შეიძლება ბ. ი. ხონელისათვის მძიმე იყოს სარქმელი მონომახისა, მაგრამ ნუ დაივიწებს იგი, რომ მონომახისათვის სრულებათაც არ იყო სამძიმო მისი სარქმელი.

რ. ადისუბნეფი.

ახალი აგგები

◆ ჩვენ უვიტყოთ, რომ ერთ ახალგაზდა ქართველ პროვინციორთაგანს შეუდგენია ქართულს ენაზე სხვა-და-სხვა წამლების და ბალახების სახელები. ამ შედეგების მომეტებული ნაწილი კი ქართულის ძველის კარაბაღმებიდამ შეუტანია და გვაცნობებენ, რომ ეს შრომა საკამარისად დასაფასებელი შრომა იქნება ქართულს მწერლობაშით.

◆ უარშან პარიფში, ცალკე წიგნათ გამოვიდა განსვენებულის არმენისტი დიულორიესაგან დაწერილი წიგნების კატალოგი. მს კატალოგი ამ მოკლეს დროში ჩვენ ვნახეთ და მასში ბევრი ისეთი წიგნებიც აღმოსახნდა, რომელიც პირ-და-პირ საქართველოს შესხება და ამის გარდა აქვე არის მოხსენებული ბროსე, ჩუბინოვის და კლაპორტისაგან დაწერილი ზოგიერთი წიგნები საქართველოს შესახებ.

◆ სომხურს გაზეთ „არძაგანქში“ ამას წინეთ იძეჭდებოდა ნემენცურიდამ ნათარგმნი წერილები, შესახებ საქართველოსი და სომხეთისა. მს წერილები დაწერილია ბ. ლეიქენშაგერისაგან და დაბეჭდილია ზერმანიულს გაზეთ „დიეფრაიში“. შევიტყოთ, რომ საქართველოს შესახებ ქართულადაც სთარგმნიანო.

◆ ბ. დ. ჩუბინაშვილისაგან შედეგებილი რუსულ ქართულ ლექსიკონი დღეს მოთვლისშია მოფენილი და ფიქრი არ არის, რომ მაღლეც გასაღდება ეს წიგნი. უნდა შევნიშნოდ კი, რომ 3 მ. 60 კ. ცოტა ძვირია და მრავალთ მოსწავლე ყმაწვილებს სრულიად ვერ შეეძლებათ ამის შეძენა. ჩვენთვის სპიროა ისეთი რუსულ ქართულ ლექსიკონი, რომელსაც ფასი 1 მ. 50 კ. მეტი არ ჰქონდეს. ჩვენ დაწმუნებული ვართ, რომ ასეთის ფასით დანიშნული წიგნი ერთობ მაღლე გასაღდება და მეორე მესამე გამოცემაც განმეორდება.

◆ ამ ბოლოს დროის წეიმებმა ისე იმოქმედა მთელი თბილისის არე მარეზე, რომ დღეს საითაც კი გაიხედავთ ყველგან მშვერებით საესე სიმწვანე ჰფა-რას და კაცის თვალს სიამოვნებით აღსაფეხს.

**

მგლსანო! მესმის ეგ გულსაკლავი შენი სიმდერა და აღელვესულს არ მასკენებს მეც გულის მგერა;

მსურის შენსა ხმას შეგაერთო მეცა სტრუტული მარტინი და მით, მგვნესარებმ, გამოვსატო მწარ დედის წერა.

მესმის ხმა ტკბილი, იგივ მწარე გულის საკლავი; მძღოლებს, მცნაჭავს, მენატრება მწარე საფავავი. თრა მშორდება შეგი ფაქტი, ბოროტი—აგი, აწმეო ცხოვრება შეუბრალი და გულ საკლავი

ხან გამოსცემენ სიმინი უდერით ხმას მოსალუსენათ, ხან დამაფექტრათ, ადმაშფერათ და მოსაწყინდათ, ხან წარსულისა მოგონებით გულის სატყენდათ, ხან ერთის წამის გასართობდათ—ვითამ სადსენათ.

შმარა, შესწყატე, მოასვენე აწ ჩემი სმენა, გლოვის ზარივით გულსა მეცდება, არ მაღმიძეს თმენა! ნუ მამადებე, ვითა მუნჯი-დმიბი ენა, ნუ მაწევლინე, უბედურსა, მე ბედის წერა!

ნ. ნინო თრბეჭდიანისა.

მალი ტინტორელლო

(ამავი)

თხზ. გილდანსისი.

ბორდოს მეზუებში დღესაც იმეოდება საუცხოვო სურათი დეკო კონეს: ტინტორეტო, ჭარაჭავს სურათს თავის განსვენებულ ჭალისას; ეს—სამწუხარო ფურცელი გენუცის მეტაქტებელი საუკენის ისტორიას ეკუთვნის, როდესაც გენუცია ტინტორეტი ეცილებოდა მხატვრობის სკიმტრას. ფურცელის და რომესა, და ბუცენტრეტი, კოროლი ადრიატიკითა, ზღვის კოროლათ იყო წოდებული.

სხანს, მსატვრობა ბოეტიურ გეალს და თავის-დაგვარად, ეს მოგონებით კი არ არის, არამედ ისტორიული შინაარსია, რომელიც ისტორიულსაც სინამდვილეს ითხოვს.

უმშენიერესი ტინტორეტი, განსებნებული წინაშე მსატვარ-მამისა, სურათში ის ემსეგსება საბრალო ჩიდებეტი წლის ჭალს, წრევებს ატადიასა, და თოთონ ტინტორეტი, შესედუღლით, სხანს არა უმეტეს რომელის ასუ რომელცა თითო წლისას.

ეს შეცდომაა; მართა რობერტი, იმისი ჭალი, დაბადა 1560 წ. და გარდაიცვალა 1590 წ. ოცდა ათის წლისა დაბადებიდან. მამა იმისი იყო სამოცდა თვრამეტი წლისა, იმიტომა რომ იგი დაბადა 1512 წლას.

ისიც ცხადია, რომ რობერტი, იმისთვის არის ტინ-

ტორეტოლ წოდებული, ომ მამა იმისი შირგელათ მღვარი იურ კენიციაშია, იგი ტიციანის მოწაფეთ იურ, მაგრამ უკანასკნელს მძღვე შექმინებოდა თავის მოწაფის ნაჭიერებისა, ორმოცისათვისაც დაეჭირნა სასწავლებელის ქარები.

ପ୍ରିସ୍ ଫର୍ମର୍ଜେଟ୍ ରେ ଡୋଙ୍ଗୋଲ୍ ମକ୍ସ୍‌ଫ୍ଲୋଇସ ଶ୍ରେଣ୍ୟ ଗୁର୍ଦ୍ଵାରରେ
ପଢ଼ିଲା ଅତ୍ସମାନରେ-ଅରି ଫ୍ଲୋଇସ, ଫ୍ଲୋଇସ ବିହାରରେଇସ ଶ୍ରେଣ୍ୟ
ଅତ୍ସମ ଫ୍ଲୋଇସରେ, ଏହି ହାତକେବଳିଲ୍ଲା ଏବଂ କ୍ଷେତ୍ର ଯୁଗ; ଶ୍ରେଣ୍ୟ
ପରିପ୍ରେସରେ ଉତ୍ସମାନରେ ମତ୍ତେଇ ପ୍ରକାଶକେବଳିଲ୍ଲା କିମ୍ବା ପ୍ରାଚୀରେ
ଏବଂ ତାଙ୍କୁ ପ୍ରାଚୀରାକୁ ପରିପ୍ରେସରେ ପାଇଲା କିମ୍ବା ପ୍ରାଚୀରାକୁ ପରିପ୍ରେସରେ

თვით ტინტურელზე იქნა აგრძელებული გამოჩენილი
და კეთილი მსატერიალი — იათქმის ისეთივე გამოჩენილი,
ორგანული მისი შაბაზი. ამ საპრალო მისას უკვარდა იგი
განუსაზღვრელის სიუკარულითა; იგი შეადგინდა მთელ
იმის ბეჭდინებებს, მთელ იმას სისარულსა. ქესა თავის
ქალის ნაწარმოებისა იმისათვის დათხის გეორგიენზე უტრ
ბესი იყო, რომლითაც იმოსებოდნენ იმისი სურათები.
ის და თავისი ქალი შეადგინდნენ ერთ სულაერებას, ისინი
მაღლე იტელიდენ ერთმანერთის აზრსა და თარიღენი ერთ-
მნეთს ამშვიდებდენ შეურაცხვის დროს მოშენე შა-
რებისაგანა, რომელთა ძრახვას განთქმული სახელები მნე-
ლიათ თუ ასცდებიან.

ରୋଧ୍ୟୁକ୍ତ ବସିନ ଜେତାଟ କହିବୁଦ୍ଧିକୁ ଶରମାତ, ଏକାଳ୍ପିତ
ଗ୍ରାମରେ ଫୁଲ ମରିବୁଥିଲା ମାମିର ମୃଦୁଲୀରେ ନିମନ୍ତିଷ୍ଠିତ
କେତେବେଳେ ଅନୁଭବ ହେଲାଟା; ବସିନ ଜେତାଟ ଏକାଳ୍ପିତ
କାଳିନ୍ଦ୍ରିୟରେ; ଲୋକର ଏକ ମନ୍ଦିରିନ୍ଦ୍ରିୟରେ ମାମିର ଦେଖିଲା
ଅନ୍ତରେରେ ଉଚ୍ଚତା-ଉଚ୍ଚତ ଶରକିର ସିରପାଞ୍ଚଲିଶି, ବସିତାକୁ କ୍ରୂ-
ଦୂରଦୂର୍ବ୍ୟାପିଲାମି.

ରୂପାଳେଖାଟ ପ୍ରିୟନ୍ତରୀର୍ତ୍ତି, ଯାହାକୁଣ୍ଡଗୋଟିଏ ମନ୍ଦିରକୁଣ୍ଡରୀର୍ତ୍ତି
ଜ୍ଞାନ ଦ୍ୱାରିଲା, ଦେଖିଲେବେଳା ସାବଧାନ, କ୍ଷେତ୍ରର ସାଙ୍ଗେ, ମନୀ-
ଶା ଫଳା, ମନୀଶାତ ମାତ୍ରା ମେଘାର ବିଶ୍ଵାସର୍ବଜ୍ଞାନ ଓ ମୃଦୁ-
ଜ୍ଞାନ ପ୍ରଦାନଶାନ୍ତି, ରାଜନୀତିର୍ବଳାଶାନ୍ତି ମୁକ୍ତିର୍ବଳାଶାନ୍ତି, ମନୁଷ୍ୟର୍ବଳା-
ଯୁକ୍ତିର୍ବଳାଶାନ୍ତି ଓ ତାଙ୍କିର ମନ୍ଦିରବ୍ରଦ୍ଧିର୍ବଳାଶାନ୍ତି ବ୍ୟବ୍ରଦ୍ଧିତ
ମନ୍ଦିରକୁଣ୍ଡରୀର୍ତ୍ତି ଓ କର୍ମକୁଣ୍ଡରୀର୍ତ୍ତି ଏହିପରିବର୍ତ୍ତନାରେ ମନ୍ଦିରକୁଣ୍ଡରୀର୍ତ୍ତି

მთელი კენეციის ახალურობა ტინტორელლის უგვე-
თავდებ თავისით სურათებსა: ის იყო თითქმის უმაღლეს
და სელლა გვებული თვით ტიციანზე და სურათების სატემა.
იმპერატორი მაკსიმილიანი, ისპანიის კოროლი ფალიშე
მე-II, ერც გერლაგი ფერდინანდი განუწევერლივ იწევდენ
ტინტორელლის თავისით სასახლეშია; მაგრამ იგი უთ-
გელოვას უარსა ჭრივდა, ორმ თავის მამას კერ მოქმედი-
დებოდა, ორმეტიც უგვე იმოდენათ მოსუცებული იყო,
რომ კელა არარებდა მას უცხო სასახლეში.

ბევრი გეოილი და მშენებელი გაცი თხოვდობდა ტიან-ტორელის სედასა, მაგრამ იგი გვედას უარს ეჭინებოდა;

იმას კერ ატანა ის აზრი რომ მაშის სასულისურო ფუნდი
დაქვემცინა.

მაგრამ ერთი იმის თავისის მცირედობაშია, სტრიფ-
ნო ბეჭდებიზე გი მთასერსა ჰქონისებადა იმის საიმე-
დო სატელისა. მოყვითა ათი წელიწადი იგი თავის სატე-
ლის ბალის ქვეშ დაუთოველდა, და ამოდენ სანში ერთი
მეტებული სიტენა არა ჰქონისებია საპრალის ტანტო-
რეზულასაგანა. მოყვითა ათი წელიწადი იგი ორგორცე აჩრ-
დალა კუნა სდევდა კუნგანა, სწერავდა ალექსიან წერი-
ლებს, რომლებმც დიდის თავისის ცემათ ისხენიბდა
ტანტორეზულს სახელა, და ამოდენ სანში მაინც კეთ-
ელისა გაეგონა იმისაგან ერთი სასიცემულებლო სიტენა,
რომლითაც სრულებით დაკაიაღდოვებდა იმის ესოდენ ტანტო-
რეზულს და ბევრ უძილო დამის გატარებას.

მსოლოდ ერთმა მოულოდნელმა შემთხვევაშ მოულ-
ბო გვლი სასტიკ ქალსა.

ერთსედ ერთ კუნიციას სამსატერო მაღლებრეთაში
სჭიდვენ ერთი დოჟის სურათის ღარსეულობაზედა, რო-
მეჯაც ტინტორეტოს გამამს კუთვნიდა. აზრი, რო-
გორც უკუკლითვისან, რმდენათმე გაიყო, ზოგი გრიტი-
კოსალდენ იქრის შესაძლება, ზაგნი—სურათის გა-
მომეტებელებასა, ზაგნი ადგილის მართულობას,
ზაგნიც—სურათის პოზასა. ამ უმეცარ მსაჯულების
ცოტა წინათ კი, ოცენედ მეტა მსატერი აღტაცე-
ბაში იყვნენ მისაულნი სურათის სიმშევიერის
და სინამდვილისგანა. ჩმ დროს მოუსახლოვდათ ამ
უმეცარ მსაჯულებს, ვიზაც უცხო კაცი და აღვარა სუ-
რათი უკარგისოთ, სულებით შეურაც ჰქოფდ მსატერი
ქალის ტალანტისა და ამსათანავე წარმოსოქვა რამდენიმე
სიტეს, იმის ტალანტის შესარცხვენათა. უცხო კაცის გა-
ნაგრძლ ამ სახით თავისი არა კეთილი შენიშვნები, რომ
ამ დროს იქ მეოდე ერთმა ასალებზედა კაცმა, რომელსაც
ესენი უკუკლივე ესმოდა, მარტყა თავისი სელჭაგვი სა-
ხეში იმ საძაგლო მსაჯულსა.

გარეს გებლე გებისაგან უნდათ მათებინდს შექმედ ორა
სლომის ცრიალი გარებათა სხსნდა ადრიატის ზღვაშია და
მომავალი ბრძოლა შეკმნათ ორ კულტ დაწილებულთა.

ბრძოლა დადგინდეს გაგრძელდა; ბოლოს ერთი მათ-
განი საშინაო დაქანი ზღვის ნაპირზე და ის მაღე წაიღის
გონილებით და შეატყოდ წელიდგინ ნიჩვის სმიღა მოის-
მოდა ამ კენეტაშა მიმტკნარებულ დამეს და ზოგჯერაც
შორიდგინ გაიგებდით მეგონდოლეთა ტკბილ სიმღე-
რასა.

სტეფანი ბელდა-უილზი—ის არის, რომელსაც უნდოდა დაუცვა შატრისნება და ქედ-მოქმედია ტინტორე-ლლოსი—ღრმათა ჭიანდა გულში გატარებული ხმალი, მაგრამ მაინც კადემ ცოცხალი იყო. მეორე დღეს ამ შემთხვევამ დიდი ალიაზთათ მოახდინა განციაში, და მაჯე მიაღწია თთონ ამ შემთხვევას მიზეზის უურებამდისინაცა.

ტინტორელლო, ძრელ აღმრულმა ამ გვარ ერთგულობათ, გაგზავნა თავისა მამა სამრალო სტეფანისთან, რომელსაც უფლიდა ეცოცხლნა და იმედი ჭიანდა. სტეფანმ შეიტევ უკალავერი, გრძნობიერთა ჩამოართო მოხუცებულს ხელი, მაგრამ, თავის გაქნებასთან, მწარე დამალით წაიღულება:

— გვანდა!

მართლაც რომ ჭიალობა საუთოვთ იყო და რამდენიმე დღის შემდგარ ბელდებით, განუტევა სული, იმ სასელის წარმატებასთან ერთათ, რომელიც ასე გაცირ იყო, რომელსაც ასე თავისაწარული უკარდა იგი.

ამ სამწესარი შემთხვევამ მელანსოლური გავლენა იქნადა მხატვარი ქალის ჟანრსკნელ წალებზედა. თოონ იმისი მ:მა—იმისი მ:მა, რომელიც იმას უკალაზედ მომეტებული უკარდა, კიდრე სტეფანი—მნელათ-და ედიაზებულია ხოლმე თავის საუკარელ ქალისგან გულანდებულ ამ ალენს, და იმის კულანდებულ სიცილსა.

სკედა მოცული ტინტორელლო გარდაიცვალა 1590 წ. და მთელი გენერია მიაცილებდა მას სამარის კარმინისინა.

მიუხედველათ ამ თავის საშინელ მწუხარებისა, ტინტორეტიმ მაინც იმადგნათ შეიკრიბოდ ღრუნე, რომ გადალო სურათი თავის განსკენებული ქალისა.

საბრალო მამი! რა მწუხარებაში უნდა უოფილიერ იგი იმ დროს, როდისაც ტილოზედ გადმოიჭირდა ის იურ მიმკრთალი, სიცოცხლე მოკლებული თავი, რომელიც არა ერთხელ განისაზღვრდა მამის გულზედ მიურდნობილი.

საბედნიეროთ, ტინტორეტი შეიძირა სატემუნების სიუგრელმა და იმან ოთხი წელიწადი კიდევ იცოცხა და დადის მწუხარებითა, მაგრამ აღუშვილთველმა, იცოდა, რომ დამადებული მაღე შექრიდა თავის საუკარელ ქალთანს.

გელის-ციხესიმიშვილი.

შენიშვნა

მოესთ დაწერათ სარგის თმოგებილის ჭიათურის და საკედას და გვარის ბეჭდვითაც აცხადებენ! იმარტინი

ბროსეს ჩვენებით, *) ბაქრაძის მოწმობით **) და თვით ჩემს სელში დაცულის ისტორიულის და ლიტერატურულის ცნობებით დამტკაცებულია, რომ სარგის თმოგებილის თურქულება დღეს ქართველებში და ქართულს მწერლებაში აღარსად არის დაჩენილი. ამ საგის შესახურა ერთხელ უსაუბრიათ. 1878 წ. გაზეთ «ვერია» ში ბ. შ. უმიკაშვილიც შესრულ სარგის თმოგებილის «დალაპიანის» დაგარგვას და აღდგნის გამოც მოისცენა.

შევთა და ასალთა მწერალთა დამტკაცებით და გარდაცემით ჩვენ ნამდვილდა და უედ მიწევნით ვაციო, რომ „დილარიანი“ თაოქმას იმავე დროსვე მისცემია გაქრობასა და აღვგასა, რა დროსაც იგი დაუწერა სარგის თმოგებულის. ამ „დილარიანის“ დენიულების გამო თვით ჩახრუსაძეც გი მოწმობს თავის პეტებში, რომ თამარ მეტე დალაპიანიმა: აღაშეოთაო. მაგალითად: «მოუბარისა, მის მდუღარისა დილარისაგან აღ შოთობულად». ჩახრუსაძის ჩვენების მეოქებით ჩვენ უმტკოდ ვოწმუნდებით, რომ „დილარიანი“ თამარ მეფის ბრძანებით აღვარებულური უნდა ეთვილიერს, რადგანაც მსში გამოსატელი უოფილა იმ დროის სამეფო მოხელე მრავალი ისეთი საქმეები, რომელსაც მშენდორ კავშირი წერისათ იმ დროის საქართველოს სამეფო წეს-წერასთანაც ისტორიული მოძღვანელი იყო.

უნდა შევნიშოთ, რომ «დილარიანი» თავის შინაარსით მეტის-შეტი მგაცრის მიღრეკილებით უნდა უოფილიერს დაწერილი, თორებ უამისოდ ამ რომანს იმ დროის სამეფო შინით გერ აღვრძალავდენ, რადგანაც „დილარიანის“ დაწერს სარგის თმოგების ბრწყინვალე ადგილი უკირავს და „ქართლის ცხოველება“ ბრძანეთა და მეცნიერეთ მოისპენებს. თამარის მეფის ბრძანების ისტორიაში გერ ნახავთ ერთ სამეფო გამარჯვებითი ნაბიჯს, რომ მასში სარგისი არ ერთოს. სარგისის შეიღებივე იუვენ ივანე და ზაქარია ამირ სპასალანი, რომელთა ქელთა მოქმედებით ქართლის მემატიანე აღტაცებულია. სარგის თმოგებილის გარდაცემება ისეთი დანაცვლისა ქართველთაობის, რომ ამის სიკვდილის გამო მთელს საქართველოს გარს უგროვდა. ბაქრაძის ჩვენებით სარგის თმოგებილი თმოგების ეპილესიაში ასაფელავდა.

მკელეათაცა და ახლაც ნათლათა სჩანს სარგის თმოგებილის მწერლობის მოდგაწერასთა ცნობებიც. სარგის თმოგების

*) ქართული ლიტერატურა 1844 წ. ბროსესი.

**) «კავკაზი» 1853 წ. დ. ბაქრაძის სუტიურები.

კელის თანამედროვე უკუდები შოთა რესთაველი ნათლად მაწმობს უგეგმის ტექსტანი, რომ „დილარიანი“ სარგის თმოგებელმა დასწერაო. მაგალითად:

„დილარებთს სარგის თმოგებელსა, მას ენა დაუშორომექსა“. შოთა რესთაველს გარდა ჩახრუსაძეც მოიხსენებს „დილარიანსა“, ამის შესხებ ჩვენ ხომ ზემოთ მოიხსენიეთ. სარგის თმოგებელს არტონ კათალიკოზიც მოიხსენებს „წყობილ სიტყვაობაში“ და სწორს, რომ სარგის თმოგებელმა „დილარიანი“ დასწერაო. ასევე მოიხსენებინ მრავალნიც სხვა-და-სხვა ძევლით და ასაღნი მწერლები და უკუდები ერთმხვედ და უკეტოთ აშენაუგებენ იმას, თუ სარგის თმოგებელმა რა დასწერა. თუმცა სარგის თმოგებელის „დილარიანი“ ძევლადევ იქმნა აღრმაფული, მაგრამ მან მეოვრამეტე საუკუნემდის მაინც მოაღწია და ხოლო ამ სხეულულ საუკუნის დამდევს ბაგრატიანთ უჯაში დაიკარგა. დაგარგა სრულდება არტანუჯელს ვინმე ჟერულარამეს. ეს ის დარაძეა, რამელმაც „კეთის ტეოსნიც“ გადაკეთა თავისებუროათ და მით დიდად დაამასინჯა. ზეტრე დარაძე ამ საუკუნის დასწერის ქრონიკის უკიდურეს არა არა მარტივი და იქ ამან ქრონიკი ბატონიშვილების თხოვნით ასაღი და „დილარიანი“ დასწერა. ეს ასაღი და „დილარიანი“ ვრცელი წიგნია, დაწერილი პროზათ, შეგა და შეგ უკეთები მოითვება. ამ წიგნს ვრცელი წინასიტყვაობა აქვს და მასში დარაძე დაწერილებით მოგვითხოვთ, თუ ადილარიანი“ როდის დაიკარგა და ან მან რა აზრით დადგინა. ამ წიგნის შესხებ მას შოღემიგაც ქანდა გმართული „კალმასხის“ დამწერ იოვანე ბატონშვილთან.

მაშასდამე „დილარიანიდამ“ რამე ადგილების ამოღება „ივერიაში“ ბეჭდება და ამ ნაწერების ბოლოზე სარგის თმოგებელის სახელის მიბეჭდებრ შეცდომა უნდა იყოს. ასერივე შეცდომა მოუკიდა ბ. დავ. ჩებინოვს როდესაც მან ქართული ქრესტომატია დასტებდა და შეიც დილარიანიდამ ერთი ადგილიც დასტებდა. ჩებინოვიც სარგის თმოგებელის აწერს იმ „დილარიანის“ დაწერას და როცა თვით წიგნის კითხულობით, მაშინ შეგ კა გხვდებათ მრავალი ისეთი სხელწოდებით და ნივთები, რომელიც მეთერმეტე საუკუნეში მოიგონეს ეპრობილობა.

ამ შენიშვნების შემდეგ «ვერიის» დატერატორ და მცრალნე თანამშორომელებს დარ ეპატიებათ, რომ ქართული მწერლობაში ასეთ შეცდომებს მსვლელობა მასცენ.

შეიძლება, რომ „ვერიის“ დამაგრილი, ნაგებ—სარკმებში „დილარიანიდამ“ კი არ ბეჭდავენ სარგის თმოგებელის აფილიზმებს, ანდაზებს და სხებს, არამედ რამანი „ვერიონამიანიდამ“. უნდა გავახსენო „ვერიის“ შატრივეტებულთ ლიტერატორთან მშორომელებს, რომ ესეც საგმარისი გვარიანი შეცდომა არის, რადგანაც უგისრამიანი“ სარგის თმოგებელმა კი არ დასწერა, არამედ სპარსულის ენი-

დამ გადმოსთარებნა დაკით საათაბაგოელმა; და საკანს ცხადათ მოწმობს და ამტკიცებს მეოვრამეტე საუკუნის მწიგნთაბარი არსიმანდრიტი გამრეკელი. ამ არსიმანდრიტს გარდა მოიხსენებს აგრეთვე იმავე საუკუნის მწიგნთაბარი ტრიტოლე არსიმანდრიტი, რომ უგისრამიანი“ დაკით საათაბაგოელმა სთარგმნა.

ამთ გარდა ბ. დ. ბაქრაძის სელში ინახება ერთი ძველი გატალოგი სადაც ასევე მოიხსენებული, რომ „ვისრამიანი“ თარგმნილი დაკით საათაბაგოელისაგანო. მე მაქს ერთი ძველი კატალოგი, რომელიც შედგენილია მეოვრამეტე საუკუნეში და ამ კატალოგშიც ასევე მოიხსენებული, რომ „ვისრამიანი“ თამარ მეფის დროს დაკით საათაბაგოელმა სთარგმნა. მაშასდამე აქ განმარტება აღარ არის საჭირო იმის შესხებ, თუ ეგისრამიანი ვის უთარგმნა და ასუ სარგის თმოგებელს რა დაუწერა. მე მეონია, რომ ამ გვარ ცნობების შემდეგ გრარიანი შეცდომები უნდა იყოს ის, რომ დაკით საათაბაგოელის ვისრამიანიდამ შატრა-შატრა ადგილები ბეჭდონ „ვერიაში“ და ბოლოზე სარგის თმოგებელის სახელი მაინც მოაწერონ ხოლო უძრებელია, რომ დღეის შემდეგ ამ საგანს შატრას სიფრთხილით მოეწერობას და ისე დაიცავენ ძევლით მწერალთა თხუზულებით სახელებს, როგორც რიგი და წესია.

სახალხო ლემსები

(ზემო იმერეთში შეკრებილი სოსიფოსაგან)

ნერა რა დედა გაგზარდა
ეგეთი მშენიერო!
ზდილი, კეულ-გმირი, მამაცი,
ბრძენი და გონიერი!
გიხდება ჰეტელი მსარ-ბეჭი,
წვრილი წერტეტი წელი;
ტურთა სახე-ტედ თვალ-წარბი,
შავი ულგაში, წერილ!
მომისთვის თავის გაწირვა,
საჭირნახულ დღენიო;
იარაღთ ჩაკიშულობა,
ცემიტი მფრინავი ცხენიო...
ნერა რა დედა გაგზარდა
ეგეთი მშენიერი!
მოუსრე ღმერთია გიცოცდოს,
და აგაცილეს მტერი!

რაჭილგან გამოვამარქე,
გადმოვევე ქარის ქროლასო;
მწარე აძილი დაგვიდგა,
გერ მოვევარეთ გორასო.
მოუხდათ მომებს ჩეუნკალი—
ერთი მეორეს ჟორაქსო,
და ღმერთის ნურვინ შეგასწროთ,
მეგობრებ შეა ბოროლასო.




გამოცავები

1

ასია, მაასია, უასია,
სხვა უასია ასიად არი;
არ არიან უმისანი:
არც ღრუჟელნი, არცა-მთანი;
არა ნება მის მიერი—
განგვემორის ასიად არი.

2

ამიერილგან ნაკუთხია,
მადლა დგას მთაზე ბერია;
ზამთარ და ზაფხულ მისს იურცელს
ართდეს არა კნებია.
მასაც მოუგა ერთი დღე,
თავეანს სცემს გელა ერია;
ის დღე ჩენც გაბეგსარდება—
ხელში გვაძლევდეს ბერია.



ჩვენ ინტელიგეტები

სიტუა სხვაა, საქმე სხვაა—შეა უქევს დიდი ზღვარი.
შ. რუსთაველი.


უკი უგდე თქვენს მსჯელობას, მსურდა მსმოდა
ქროლია,
თუმც მომებსა რამდენიმე შიდ რუსული ჩართულია.
«ნეუკელი», «ნემოუეტ ბიტ» დომხალივით გართულია,
გაგს ისეა: ქართულს ქას—რუსული აქეს სართულია.

არეულად ქართულ-რუსულს ბრუნდ-მართალი უკელა
ამსობს,
„ეიძღა“ და „გრომე შუტკა“-თ ქართულ ბასს მუდამ
ამკობს;

თო ქითხო გი შატრილობს, ქადაგობს და შით ქით
მაგრამ აუკ-დარევითა გერ მოგიმორის სანგძლივ ნაუღის.
მაგალითი თვითონ თქვენ სართ, არ გეთქმებათ ამის
გარი, ჩემნისა საწყალ ქართულ ენას—დასშული აქეს თქვენში გარი,
თუსულს სწყალობთ, თუ ისიც გრძნობს თქვენთანა აქეს
თაგა-საფარი,
„სიტუა სხვაა, საქმე სხვაა—შეა უქევს დიდი ზღვარი“.

მე გერით, გი ამასა გთხოვთ არ ინებოთ ჩემზე
წერომა,
გული მტკიგა ენისათვის, მსურს რომ ვსწიდა მისოვის
შრომა;
გასაგიწი აქ რა აარის, მეცა ვსცადე ერთი ზომა,
თქვენ გი მსწავლულთ-ლიტერატურობრივი გამართ გალა *)
სამა.

სანდრუა ბეჭია.



უეპლილი ცეცხარულისაგან **)

დონა 5 მოქედ. თხზ. დონ-მარცელ ტამასი და ბაუსისა
ჭკერი V.

მეფე და პლდარა.

მეფე. რა რიგათ გამოიცალა! შეიძლება კაცმა
იფიქროს რომ იგი ერიდება ჩემს შეხვედრას...

ალდანა. მს თქვენ თეოთონ შენიშვნეთ?

მეფე. რამდენიმე დღეა.

ალდანა. შლმობელი გულის დაჯერებაა?

მეფე. მე აქ ცოტა ხნით მოესულეარ—რჩევა
მიცდის. მე ძალიანა ვნალვლობ, როცა თქვენ არა
გხელავ ხოლმე; ნამდვილად მკვდარს ვემგზავსები.

ალდანა. დედოფალი როდის აპირებს აქელგან
გასვლას.

მეფე. მალე. ეხლა ამაზე გვექნება თათბირი. არა
მგონია თქვენ ჩემზე დონ ხუნას შესახებ ეჭვიანობ-
დეთ.

*) მე პანკის ვალზე არ მოგახსენებთ.

სანდრო ბიჭი.

**) იხილე „თეატრი“ № 14.

ალდარა. ახლა რა იქნება რომ კიდეც ვეჭვიანობდე? დის მე ძალიან ვეჭვიანობ.

შეფე. მგრე გიუვარვარო?

ალდარა. მიყვარხარ, მიყვარხარ ძალაუნებურად.

შეფე. ძალაუნებურად, უმაღლო? რა არ ჩამიღენია თქვენი გულის მოსაგებად. თქვენ სასახლეში გინდოდათ დაბინავება, მე ესეც შევისრულეთ. თქვენი გულისთვის რაც უეიძლება უნდა დავაჩარო დედოფლის აქედან გაძევება. მე მიყვარხართ თქვენ და არ ძალმის კა ვისარგებლო იმ უფლებებით, რა უფლებებსაც მანიქებს ჩემი თქვენდამი სიყვარული და სამეცო გვირგვინი. მითხარით, თქვით თქვენი სახელი და გპირდებით—რომ დაგიბრუნებთ უწინდელ თქვენ ლირსებას, რა ლაქაც უნდა ეცხოს თქვენს სახელს. თქვენი ამაყი ქცევანი მოწმობენ თქვენს დიდებულს ჩამავლობას. არ არსებობს ისეთი ლაქა, რომელიც არ შეეძლოს მეფის მოწყალებას მისი ამოყვანა, მე კი, რომელიც ასე გეთაყვანებით, მეფე ვარ ისპანიისა. შოელი კუთხენი ჩემი სახემწიფოისა თაყვანებით მოისმენენ თქვენ ბრძანებას და რომ აღსრულდეს თქვენი წადილი, უთვალავი მონანი გაირჯებიან თქვენი გულისთვის...

ალდარა. მე მეშინან... თქვენც ხომ დედოფალივით ჰყუაზე არ შეიშალეთ?

შეფე. მეც ისევ ეჭვიანი ვარ, როგორც ის; მე სუყველას ეჭვით ვაუკერი ვისაც კი თქვენს ახლო დავინახავ, და მეტადრე იმას, რომელიც სასტუმროში იდგა თქვენს ახლო; ამ კაცმა ჩემზე ხმალი ამოილო და თქვენა და დედოფალმა კი დამიფარეთ.

ალდარა. მეფე თქვენ ხომ დამპირდით, რომ იმ კაცზე არ ვიკეჭვიანებო.

შეფე. იმისთვის ვეჭვიანობ—რომ თქვენ თვითონ მითხარით: ის სრულიად თქვენზე არა ფიქრობს, იმას სხვა უყვარსო.

ალდარა. ამას ეხლაც ვიტყვი, თუ ამითი დაქმაყოფილდებით.

შეფე. მაპატიეთ, ალდარა! ჩემი შიში, იჭვნეულობა იქიდგან წარმოსდგებიან, რომ შეუძლებელი საქმეა თქვენ გნახოს ვინმე და მნახელს არ შეუყვარდეთ.

ალდარა. მოიგონეთ, მეფე—რომ თქვენ წასვლა გიგენანდებათ.

შეფე. მითხარით: გიუვარვართ თუ არა?

ალდარა. განა გამოირება საჭირო ღაა?

შეფე. როდის დამაჯერებით—რომ მე თქვენ გიყვარვარო?

ალდარა. თქვენ არა სთქით დედოფალი მალე წაგაო...

შეფე. ჩემარა წაგა, ჩემო ძეირფასო: მულმარტინი დაეგვიანებ. (მიღის)

სტენა VI

ალდარა, მემრე დონ ალვარი.

ალდარა. და ამასაც ამბობდი, ორგულო, რომ ჩემი ქმარი მიყვარსო? რა მალე მოგწინებია იგი!.. საზოგადო შთამოებავ! შენ რაიმე დიდებულის, რაიმე მუდმივის გაკეთების ნიჭს აცდილი ჰყოფილხარ. მარტო ჩვენ წინასწარმეტყველის ასულთ შეგვიძლია სიყვარულიც და სიმულვარეც.

დონ ალდარი. (შემოღის მარჯვენა კარებიდგან) მე თქვენ გეძებდით, სენიორა!

ალდარა. დღეს მეძებდით, გუშინ კი მარილებდით თვალს?

დონ ალდარი. ჩვენ უნდა მოვილაპარაკოთ. თქვენ აქ რას აკეთებთ?

ალდარა. სამაგიეროს უხდი.

დონ ალდარი. ვის?

ალდარა. დედოფალს.

დონ ალდარი. მე გავიგონე, რომ მეფეს გადაუწყვეტინა დედოფლის დატყვევება. თქვენ გინდათ მეფის საყვარელი გაპედეთ, თქვენ შერის ძიებას ეძიებთ, თქვენ ცბიერებთ და მე სუყველა ამას მიხვედრილი ვარ, და თქვენ განძრახებს მალეც დავარღვევ.

ალდარა. დონ ალვარ!

დონ ალდარი. მე ნუ მარწმუნებთ, მე მიხვედრილი ვარ თქვენს შეცდომილებას. რა წყაროებიდგან იცით, რომ მე დედოფალი მიყვარს?

დონ ალდარი. თქვენზე მაგას ვინა ფიქრობს? მამიჩმის გულისთვის სამაგიეროს უხდი იზაბელას ქალიშვილს, ქრისტიანების დედოფალს უხდი სამაგიეროს მთლად ჩემი ერის გულისთვის.

დონ ალდარი. თქვენ განძრახებას მე დედოფალს შევატყობინებ.

ალდარა. მე მარტო მის დაღუპვას მახლოვებს.

დონ ალდარი. სენიორა, თქვენ თუ მე როდისმე გყვარებივარ, დაანებე ამ უღირს განძრახებას თავი! მოშორდით ამ სასახლეს, თორემ აქ დიდი შეურაცხობა მოველით...

ალდარა. ჩემზე ტყუილათა სწუხართ, რაინდო. მეფეს არც გაუმარჯვენია და ვერც გაიმარჯვებს ჩემს გულის სიმტკიცეზე.

დონ ალდარი. რისთვის ეხება ეს უსამართლო აჩრდილი პატიოსანს სულს?! თუ რეესმე გულში გაი-

ტარებთ სინანულს, მაშინ მიჰედებით თქვენგან განძრახული საქმის სიბოროტეს. მს განძრახეა მოჲშხა-
მაჲს თქვენს ყოველ კეთილ საქმეს.

აღდარა. თქვენში მე მიყვარდა ქრისტიანი, ვიყ-
ვაჩებდი სუჯველას თქვენგანს, უარს ვყოფდი ჩემს
ღმერთს და ვეთაყვანებოდი თქვენსა... .

დონ აღგარი. დაფიქრით, სენიორა, თქვენ
გორანჯათ ქრის ღცნება. საცოდავმა დედოფალმა კი
უნდა ივალალოს—თუ ვინიცობაა შეიტყო ღალატი
იმ კაცისგან, რომელიც ასე ძალიან უყვარს... .

აღდარა. მითომ დედოფალს უყვარს თავისი
ქმარი?

დონ აღგარი. თქვენ გარდა ამას ვინ უარყოფს?
ზანსაჯეთ ყველაფერი პირ მოთხოვობით. მე მჩქამს
რასაც თქვენ მეუბნებით, მჯერა რომ თქვენ ღირსი
ხართ ჩემგან პატივისცემისა. კარგი, გაეიქცეთ აქედგან
ერთად, მიიღეთ ქრისტიანობა და სხვა კიდევ რა?—მე
თქვენი მეუღლე გავტები... ხვალვე გავიღეთ აქედ-
გან... მე რალას ვაშბობ: ხვალვე მეთქი? დღესვე,
საჩქაროთ... ამ წაშში.

აღდარა. ზანა ვერა გრძნობთ, უბედურო, რომ
ყოველი შენი სიცყავა ხანჯალისაებრ ესობა ჩემს გულს!
ზანა თქვენ ვერ მიხედრილხართ ამას, რომ თქვენ
უფრო და უფრო მარწმუნებთ თქვენს დედოფლისად-
მი განუზომელ სიყვარულში. იმის მიზეზით თქვენითვა-
ლები ცრემლით ინამებიან. იმის მიზეზით გითროოლავთ
ხმა, მისი მიზეზით რბილდება თქვენი სიამაყე და ამის შემ-
დევ თანხმდებით გაზრდეთ მეუღლეთ ჩემისთანა საზიზ-
ლარი არსებისა! რომ იგი ააცილოთ უბრალო უკმა-
ყოფილებასაც კი, თქვენ არა ჰათოგათ თქვენს მხედ-
რულს დიდებას, რაინდისა პატივს, თქვენ სისხლსა,
თქვენ სიცოცლეს და ამის შემდეგაც გინდა მე გული
მომიგოთ? რა მისნებით არის იგი დედაკაცი შეკურ-
ვილი, რომ მან ღამიმორჩილა აგრეთი თქვენი თაყვა-
ნება? და მე, მე მიყვარხართ თქვენ!... შადით, მამ-
შორდით.—მე მინდა ვიცრებლო, და თქვენ წინაშე
სიკვდილი უმჯობესია ტირილზე.

დონ აღგარი. ცრემლს, რომელსაც თქვენ დაპ-
ერით, იქნება საბუთი თქვენი პატივისანი გულისა.
თქვენ უკეთესი ხვედრის ღირსი ხართ! გიმეორებ:
წავიდეთ, ბლდარა, თქვენი იჭრეულობა სრულიად
უსაფუძლოა.

აღდარა. დაპერედეთ, აქა სძეეს წიგნი, წმინდა სა-
ხარება. ამშბობენ არც ერთი ქრისტიანი ამაზე ტყუ-
ლად არ დაიფიცებსო (წიგნს სტოლიდგან იღებს)
დაწყეთ ამ წიგნზე ხელები და დაიფიცეთ რომ თქვენ
არ გიყვართ ღონა ხუანა. (გადაშლის წიგნს და მიაქვს
დონ ალვართან)

დონ აღგარი. (თავისთვის) ღმერთოშემრა! (მისამართ
ლა) იგი როგორც დედოფალი მიყვარს.

აღდარა. დაიფიცეთ—რომ ის ისე არ გიყვართ,
როგორც დედაკაცი.

დონ აღგარი. თქვენ არა გჯერათ?

აღდარა. დიახ, არა მჯერა.

დონ აღგარი. თქვენ უმიზეზოთ შეუტაცხმულით.

აღდარა. დაიფიცეთ!

დონ აღგარი. (თავისთვის) შემინდე, ღმერთო
მაღალო! (დაადებს ხელს) თუ თქვენა გნებავთ...

აღდარა. დაიფიცეთ!

დონ აღგარი. მფიცამ—მაგრამ, არა (უკუღება
რელიგიური რწმუნებით შეკურევილი).

აღდარა. მურ თქვენ! ვურ დედოფალს! (დაპე-
ცამს წიგნს და დასდებს იმ ადგილას, საიდგანაც აიღო)

სცენა VII

იგინივე და დედოფალი, მერე შეფე.

დედოფალი. სადა ხარ აქამდის, ჩემო საყვარე
ლო ბეატრისა? შთუოთ თქვენმა ნათესავმა დონ ხუან
მანუელმა არ გამოიყიშოთ.

აღდარა. (ცრდილობს დაპტაროს თეისი მღელე-
რება) არა, მე ეხლა მოვინდომე თქვენი დიდებულე-
ბის ნახეა.

დედოფალი. ღმერთი იყვეს თქვენი მფარველი,
დონ ალვარო.

დონ აღგარი. თუ თქვენი დიდებულება ნებას
მომცემს...

დედოფალი. თქვენ რისთვის მიხვალთ? მე ყო-
ვლოთვის მოხარული ვარ, როდესაც ჩემი ერთგული
ჩემს ახლო იმყოფებიან ხოლმე.

აღდარა. (თავისთვის) თეითქო განძრას უნდა ჩემი
შეკურაცხყოფება.

დედოფალი. (დონ ალვარის) მე შეტყობილი
მაჲს—რომ თქვენ საუკეთესოთა სთამაშობთ ჯანდ-
რაკზე. პცალოთ თქვენი ხელოვნება. (მიუჯდება
სტოლს, რომელიც აეანსცენის მარცხენა მხარეზე
დგას და რომელზედაც ჯანდრაკის ფიცარი სდგას)

დონ აღგარი. ნუ გავიწყდებათ, დედოფალო,
რომ ამ გვარი პატივისცემის ღირსი არა ვარ.

დედოფალი. ძმარა. ნუ სწუხართ. მე მეტი თავა-
ზიანობა მეჯვერება. დაივიწყეთ რომ მე დედოფალი
ვარ და არ დამზოგოთ.

აღდარა. (თავისთვის) რა თავდამდაბლება!..

დონ ალგარი. (თავისთვის, როდესაც დაჯდება) რა მწარე ხვედრია!

ალდარა. (მეფეს დაინახავს; თავისთვის) მეფე!

დედოფალი. (როდესაც თამაშობას პირობებს აღვართან) მე ამის იმედი მქონდა. (თამაშობს ალ-ვართან).

მეფე. მე ძალიან მესიმოვნა, დონა ხუანავ, რომ ამისთანა პატივისცემის ლირსად გაგიხდია კაპიტანი.

ალგარი. პატივისცემა, რომლითაც დედოფალი მაბედნიერებს...

დედოფალი. დამსახურებულია თქვენგან. ქეთილ-შობილება თქვენი ჩამამავლობისა ლირსათა გხდიან ჩემს ახლო იმყოფებოდე; თქვენი პატიოსანი გული ხომ უფრო ნებას გაძლევს. მეგობარი დიდებული სარდლისა შეიძლება ჩვენი საკუთარი მეგობარიც იყვეს.

მეფე. (უცქერის თამაშობას) ცუდათ იწყობთ, დონ ალგარო...

დედოფალი. იგი შეშფოთებულია. ან იქნება განგება მშეელის რომ მე მომაგებინოს.

მეფე, (მიღის ალდარასთან, რომელიც სცენის მეორე მხარეზე დგას და ჩუმათ ეუბნება) მე არ მოველოდი ამ გვარ ბედნიერებას...

ალდარა. (ჩუმათ) მოვილაპარაკოთ, მოვილაპარაკოთ ერთი ერთმანეთის სიყვარულზე.

მეფე. (ჩუმათ) ბოლოს როგორც იყო დედოფალმა ჩემს უკან დევნას თავი დაანება ჩემდა საბედნიეროთ.

ალდარა. (თავისთვის) სხეისკენ ჰქრის მისი გონება. (ლაპარაკაბენ ჩუმათ)

დედოფალი. მე გავიგონე, კაპიტანო, რომ თქვენ საარაკო ვაჟაცობა დაგიმსახურებიათ ომში ჩერინოლთან—გულ და გულ თეით გერცოგ-ნემურთან გიბრძოლიათ,

დონ ალგარი. მამაცი მეომარი! მარტო დიდებულ სარდლის ხმალს შეეძლო მისი დაძლევა.

ალდარა. (ჩუმათ) დედოფლის შესახებ ჩჩევამ რა გადასწეულო?

მეფე. (ჩუმათ) მისი დატყვევება გადაწყვეტილი საქმეა.

დონ ალგარი. დედოფლის მომახალი მაშინებს... რა უნდა ვქნა?

დედოფალი. თქვენ გულ-მავიწყობთ, დონ ალ-ვარო!

დონ ალგარი. მაპატიეთ. (თამაშობენ)

მეფე. დამინიშნეთ აღილი, სადაც მარტოდ-მარტო შეგვეძლება მოვილაპარაკოთ.

ალდარა. (უცქერის მოთამაშეებს და თავისთვის ამბობს) დედოფალი რა რიგ შესცქერის იმას!

დედოფალი. (თავისთვის) იგი არ ეჭვიანობს!

მეფე. თქვენ მე ყურს არ მიგდებთ, ალდარა.

ალდარა. აკი ყურს გიგდებთ, მეფევ! (თავისთვის) რა ბედნიერია იგი ეხლა!

მეფე. თქვენ კაპიტანს თვალს არ აშორებთ...

დედოფალი. (თავისთვის, მეფეს უცქერის) მეფე სულ აქეთ იცქირება...

ალდარა. არ იქნება ურიგო რომ თქვენ დონ ალვარზე ეჭვიანობდეთ.

მეფე. თქვენ ხუმრიობთ?

ალდარა. ნამდვილად... არ გეხუმრებით.

მეფე. იცით, სენიორა, რომ მე ამას ვერ დავთმობ.

დედოფალი. (მეფეს უცქერის და თავისთვის) იგი მღელვარებსა.. ბაჯაერებით ლაპარაკობს!

დონ ალდარი. (ალდარას თვალს გადააელებს) აქ რალაც შეთქმულობა მჩადდება! ამ დედაკაც სუკელაფერი შეუძლიან.

ალდარა. ამას მე ფიქრათაც ვერ წარმოვიდგენდი. მე მეგონა რომ ამას ჩუმათ უყვარებარ მეთქი! დღეს სიყვარული გამომიცხადა.

მეფე. (მეფე ვედარ მოითმენს, მივა ალვართან და მაღალ ხმით ეუბნება) გეფიცები ღმერთს!..

დედოფალი. რა მოგივიდათ? (წამოდგება)

ალდარა. (ჩუმათ მეფეს) თავი შეიკავეთ.

მეფე. არაფერი, არაფერი—გავრჩელეთ თამაშობა.

დედოფალი. (თავისთვის, სიხარულით; ისევ დაჯდება) რა მაცრად უყურებს იგი კაპიტანს ნეტა ხომ არ ეჭვიანობს?

დონ ალგარი. (თავისთვის) ალდარა მღუპავს მე.

მეფე. (თავისთვის) თავი ვერ შემიმაგრებია.

ალდარა. მეფევ, მეერიდენით უსიმოვნებას. სხვა შემთხვევა იპოვნეთ და იგი ისევ იტალიაში დააბრუნეთ.

მეფე. მხლავე! (მივა სტოლთან და თამაშობას უცქერის)

ალდარა. (თავისთვის) სამაგიეროს გადასახდელად ეს ცოტაა კიდევ—რომ იგინი ერთმანეთს დაშორდენ.

მეფე. რას შვრებით, დონ ალვარო? თქვენ თამაშობა გეშლებათ. მე ვფიქრობ რომ მხედრები დიდებული სარდლისა არც ერთს საშუალებას არ ითაკილებენ ოლონდაც კი იგინი გამარჯვებული დარჩენენ; ხმები დადის დიდებულ სარდალზე, რომ ეს რამდენათაც ხარბი და პატივის მოყვარეა, იმდენათ კარგი მეომარიათ.

დონ ალგარი. მს რითი მტკიცდება?

მეფე. იმითი რომ ისპანიის ოქრო ბრძყეინავს, მაგრამ გონჩალენის შესანიშნავი ანგარიშები კი ისე არა ბრძყეინავენ.

დონ ალგარი. ზონზალეი, როგორც მხედარი, თავის ანგარიშს კალმით კი არა, ხმლითა სწერს.

მეფე. მის პატივ-მოყუარეობა კი მტკიცდება მის სურვილით — გახდეს დაპყრობილი მიწების მეფეთ.

დედოფლი. (თავისთვის) ცდილობს რაიმე უკადრისი სიტყვა ათქმევინოს.

დონ ალგარი. ის მიწები კასტილიის მეფეს დონ-ფერდინანდს ეკუთვნის. სტუუს ის ვინც გონჩალს ლალატსა სწამებს.

მეფე. ზეფიცები ღმერთს! ვინ სტუუსო, რა სთქვი შენ? (დედოფლი ალგება)

დონ ალგარი. ჩემი სიტყვები თქვენ დიდებულებას არ შეექება.

მეფე. საკმარისია! ერთი ალერსიანი სიტყვა უთხრა თავ გადასავალის მძენელებს, რომ ამ შედეგამდის მიახწევინო.

დონ ალგარი. (თავისთვის) ამას ამასთან მეუბნება!

მეფე. იმისთვის რომ ამას შეეხედეთ მოწყალების თეალით, გავაბელნიერეთ ჩენი ყურადღებით, ეს სიცრუესა გეწამებს და შეურაცხმყოფს საჯაროდ.

დონ ალგარი. (თავისთვის) რა ურცხობაა!

დედოფლი. (თავისთვის) საწყალი კაპიტანი!

ალდარი. (თავისთვის) დე ეგეც ჩემსაებ იტან-ჯოს.

დონ ალგარი. მეფე...

მეფე. ზაჩუმდი! მე სამ დღეს გადას და ამ სამ დღის განმამავლობაში აქედგან უნდა გახვიდეთ. დაბრუნდით იტალიაში და სასიტადულო სარდალთან სამსახურისთვის საჩუქარს მიიღებ.

დედოფლი. (მომეტებული კმაყოფილებით) ამას მე მაშორებს!

დონ ალგარი. ამ სამ დღეში გავალ მე აქედგან, განდევნასაც ავიტან, მაგრამ იმ სიტყვებისთვის — რაც მე თქვენ დიდებულებას მოვახსენ გონჩალოს, საჩუქარს არ მოესთხოვ. ვისაც ნამდევილათა სწამს და იცვამს სათნოებას — ის ჯილდოს თვის არსებაში უნდა ეძებდეს, თქვენ მე თავ გადასავალთა მეძიებელი მიწიდეთ, მართალი ბძანეთ. ჩემი თავ-გადასავალი აღნიშნულია ჩემს სხეულზე მავრებისა და ფრანცუზების

ხმლების წყალობით. მე მყველრით თქვენს მიმდამისადამისა მოწყალებას, მეც ამის შეუხედავათ შეათა ვარ დაგიმტკიცოთ, რომ მე თქვენთვის მაღლობა ჩემი სიცოლცლით გადამიხდია. ღმერთმა ბევრი კეთილი საქმეებით ააყეაოს თქვენი დღენი. და თქვენ, დედოფლი, ზეცამ დედამიწაზედ მოგანიჭოთ ის სიხარული, რაც სიხარული მომზადებულია თქვენთვის ზეცაში! (წავა)

ალდარი. (თავისთვის) მტრულად მაინც შემოხედნა ჩემთვის.

დედოფლი. იგი თქვენი განდევნილია, მეფე... მომეცით ნება თქვენი სახელით მოუტევოთ მას.

მეფე. მგ ისეც დაჯილდოებულია — რომ ცოცხალი გავიდა აქედგან.

დედოფლი. თქვენ უსამართლობას და ულმობელობას იჩენთ. მე ვეთანხმები მაგგარ თქვენ გადაწყვეტილებას.

მეფე. და აბა გაბედეთ ჩემი გადაწყვეტილების განუქმება.

დედოფლი. მე გთხოვ ამას. ბეატრისა, თქვენცა სთხოვეთ.

მეფე. ტყუილად! მე ჩემი სურვილი უნდა აღრულებაში მოვიყვანო (მიღის)

დედოფლი. მეფეს განრისხებას სხეა მიზეზი უნდა ჰქონდეს. იმან განძრას შეურაცყო დონ ალერთან გონჩალენი, განა ბეატრისა?

ალდარი. (მცბიერებით) მგონი რომ მეფე ეჭიანობს.

დედოფლი. თქვენც მიხვდით? მეც მაგასა ვშიშობ.

ალდარი. (თავისთვის) ესეც ამასა შიშობს... პიღევ რალა დამტკიცება საჭირო?

დედოფლი. უნდა მას აუხსნა — რომ იგი უსაფუძვლოთ ეჭიანობს.

ალდარი. (თავისთვის) იგი თავის თავათა სტყდება. ძარგია, დე გაიდევნოს იგი? (გავა).

ს. 6 — თ — პესი.

(შემდეგი იქნება)

გ ა ნ უ ბ ა ღ ე ბ ა ნ ი

საქოველ-კვირათ ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი

„თ ე ა ტ რ ი“

(წელიწადი მეორე)

პროგრამა და სიცრცე გაზეთი, „თ ე ა ტ რ ი“-სა იგივე დარჩება, რაც 1885 წ. იყო.

„თ ე ა ტ რ ი“ გამოვა კვირაში ერთხელ, პრინციპით

ფასი „თ ე ა ტ რ ი“-სა: წლით ოთვორცე ქალაქის, არქეოგრაფიული სელის მომწერთათვის დინს სეთი (5)

მანეთი, ნასევანის წლით—სამი (3) მანეთი. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიღება.

ხელის მოწერა მიიღება „თ ე ა ტ რ ი“-ს რედაქტურაში; აღრესი: თიფლის. Въ редакцію „Teatrъ“.

ს ა ა ღ დ მ ა მ გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

ი ლ ი კ ი ს ა ი კ ი ს ა მ ა ღ ა მ ი ა შ ი ა შ ი

არწილუნისულ ქარვასლაში, თეატრის შესავალ კიბებთან—მარჯვნივ

მუდმივ ისეადება უზგალ გარდა ზეგუსკეული

და

სააღდგომოთ გვექნება გასასეიდათ საუკეთესოდ მომზადებული

ვ ი ჩ ი ნ ე ბ ი

(მთხარშული და მუუკარშეავი)

აგრეთვე საუკეთესო პასკები. მსურველთ ამ თავითვე შეუძლიანთ დაიკვეთონ რა
გემოს ჩასკაც სურთ.

ისედგან იაზად

(2—2)